## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-1089

13/11/2019 ქ. თბილისი

### გურიის სატყეო სამსახურის ლანჩხუთის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივნისის №179 დადგენილებით დამტკიცებული „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესის“ მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2019 წლის 30 ოქტომბრის № 06/15746 წერილის, ,,გურიის სატყეო სამსახურის ლანჩხუთის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმის პროექტის 2018 წლის 03 ივლისის N3 საჯარო განხილვის ოქმისა და ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის 2019 წლის 12 ნოემბრის N 9352/11 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს გურიის სატყეო სამსახურის ლანჩხუთის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმა (დანართი№1).
2. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს ტყის მართვის ორგანოსთვის მისი გაცნობისთანავე.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი